



საქმე №1გ/668



**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**  
საქართველოს სახელით  
საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ

09 ივლისი, 2014 წელი

ქ.თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე  
გელა ბადრიაშვილმა

ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე ბრალდებულ ი. ე.-ს ადვოკატის - დ. მ.-ს საჩივრის დასაშვებობის საკითხი,

**გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :**

ქ.თბილისის შს გლდან-ნაძალადევის სამმართველოს მე-8 განყოფილება იძიებს სისხლის სამართლის №XXXXXXXXXXXX საქმეს ი.ე.-ს და ო. მ.-ს მიმართ, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენისა და ტარების ფაქტზე.

აღნიშნულ საქმეზე, 2014 წლის 02 ივლისს, ი. ე.-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით.

იმავე წლის 04 ივლისს, გლდან-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ლ. ც.-მ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და ითხოვა ბრალდებულ ი. ე.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დავით ჯუღელის 2014 წლის 05 ივლისის განჩინებით დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულ ი. ე.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეერჩა პატიმრობა.

განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივრა ბრალდებულ ი. ე.-ს ადვოკატმა დ. მ.-მ. ადვოკატი ითხოვს ბრალდებულის მიმართ პატიმრობის ნაცვლად აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენებას 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.



საჩივარში მითითებულია, რომ ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისას პროკურორმა ვერ დაასაბუთა თუ რატომ ვერ იქნებოდა აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა შესაძლებელი სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით, კერძოდ 5 000 ლარის ოდენობის გირაოს შერჩევით; განჩინებით არ არის დასაბუთებული თუ რას ეფუძნებოდა ვარაუდი ბრალდებულის მიმალვის და დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების შესახებ; დაპატიმრებისას მოსამართლემ არასწორად გააკეთა აქცენტი იმაზე, რომ ბრალდებული ნასამართლევა და იმყოფება პირობითი მსჯავრის ქვეშ; სასამართლომ არ გაითვალისწინა, ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც დაჭრილია და ამჟამად გადის ამბულატორიულ მკურნალობას; ბრალდება ეხება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულს, რაც შეუსაბამობაშია მსჯელობასთან, თითქოს მხოლოდ პატიმრობა შეიძლება იყოს ერთადერთი შემაკავებელი ღონისძიება; საჩივრის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში, დაცვის მხარე სასამართლოს წარუდგენს ახალ გარემოებებს, რაც გამოვლინდა პატიმრობის შერჩევის შემდგომ (იხ. საჩივარი).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საჩივრის არსებითად განხილვამდე, მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე ამოწმებს და წყვეტს აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული საჩივრის დასაშვებობის საკითხს. საჩივარი დასაშვებია მაშინ, თუ სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დებულებათა მცდარობა ან არსებული მოთხოვნების დარღვევა მისი მიღებისას ანდა საჩივარში მითითებულია არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხსა და მტკიცებულებაზე, რომელიც არ გამოიკვლია პირველი ინსტანციის სასამართლომ და რაც გავლენას იქონიებდა პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე. საჩივრის დასაშვებობის თაობაზე მოსამართლეს გამოაქვს განჩინება.

შევამოწმე საჩივრის შესაბამისობა დასაშვებობისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან და მიმაჩნია, რომ იგი დაუშვებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

განჩინების გაცემისას მოსამართლემ განიხილა შუამდგომლობა, მოუსმინა პროცესის მონაწილეებს, გააანალიზა საქმის მასალები, გამოიკვლია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალურ, ისე ფაქტობრივ საფუძველთა არსებობა და მიიჩნია, რომ ბრალდებულის მიმართ პატიმრობის შეფარდების მოთხოვნა იყო დასაბუთებული.

მასალების მიხედვით, მოსამართლის მიერ შემოწმებულია ბრალდებულის დაკავების, მისთვის ბრალდების წარდგენის და გამოძიების დროს იმ საპროცესო მოქმედებათა კანონშესაბამისობის საკითხი, რაც წინ უსწრებდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, ხოლო პატიმრობის შერჩევის შესახებ პროკურორის შუამდგომლობა განხილულია კანონის დაცვით. როგორც ბრალდების წარდგენის, ისე აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევებს, რაც გამოიწვევდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას, ადგილი არ ჰქონია.



სასამართლომ გამოიკვლია მტკიცებულებების ანუ ბრალდებით გათვალისწინებული ქმედების ფაქტობრივ გარემოებათა შესახებ მასალების საკმარისობის საკითხი და მიუთითა, რომ ბრალდების დადგენილებაში აღნიშნული და საქმეში არსებული ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა ქმნიდა პირის ბრალდების და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკმარის ფაქტობრივ საფუძველს.

გასაჩივრებული განჩინების მიხედვით, აღკვეთის ღონისძიების შერჩევის საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ბრალდებული ნასამართლევია განსაკუთრებით მძიმე განზრახვი დანაშაულის ჩადენისთვის და ამჟამად იმყოფება პირობითი მსჯავრის ქვეშ, გამოსაცდელი ვადის პერიოდში, რაც ბადაებს გონივრულ ეჭვს მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის თაობაზე. საქმეზე ჩასატარებელია საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის დასადგენია ცეცხლსასროლი იარაღების და საბრძოლო მასალების წარმომავლობა. ბრალდებულის პიროვნების, წარსულის, სხდომაზე მიცემული განმარტებების, ბრალდების სიმძიმის, ხასიათის, საზოგადოებრივი საშიშროების და სისხლის სამართლის საქმის სპეციფიკის ერთობლივად შეფასების შემდეგ, მოსამართლემ მიიჩნია, რომ არსებობდა დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების, მოქმედებზე ზემოქმედებისა და საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების გზით მტკიცებულებათა მოპოვებასა და მართლმსაჯულების განხორციელებაში ხელის შეშლის დასაბუთებული ვარაუდი, რის გამოც **ი. ე.-ს** მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო პატიმრობა, რადგან ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება ვერ უზრუნველყოფდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებს. მოსამართლემ იმსჯელა ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებაც და მიუთითა, რომ ამჟამად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და არ გამორიცხავს პატიმრობის შეფარდების მართლზომიერებას ჩატარებული მკურნალობისა და ამ მხრივ არსებული შესაძლებლობების ფონზე (იხ. განჩინება).

საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება **კანონიერია, დასაბუთებულია** და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი. განჩინებაში აღწერილი და საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების, აგრეთვე, ბრალდებით გათვალისწინებული ქმედების ხასიათისა და საზოგადოებრივი საშიშროების გათვალისწინებით, სავსებით რეალურია ბრალდებულის მიმალვის, მოქმედებზე ზემოქმედებისა და საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების გზით მტკიცებულებათა მოპოვებაში ხელის შეშლის, ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი. ასეთ პირობებში, აღკვეთის ღონისძიების ყველაზე ეფექტური და მიზანშეწონილი სახე, რომელიც უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, არის პატიმრობა. კოლეგიას მიაჩნია, რომ ადმინისტრაციის უფლებათა და თავისუფლებათა ნაკლებად შემზღვედავი აღკვეთის ღონისძიება, ისეთი, როგორცაა გირაო 5 000 ლარის ოდენობით, ვერ იქნება ბრალდებულისგან მომდინარე რისკების პროპორციული, ვერ ექნება სათანადო შემაკავებელი ეფექტი და არ იქნება გამოსაყენებელი აღკვეთის ღონისძიების ადექვატური.



სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია საჩივრის ავტორის ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებასაც, რომ აუცილებელია საჩივარშივე მიეთითოს გასაჩივრების ყველა საფუძველი და განხილვის მოთხოვნა არ ემყარებოდეს აბსტრაქტულ, მომავალში თითქოსდა ზეპირი მოსმენით განხილვისას წარმოსადგენი გარემოებების დაპირებას. საჩივარში მითითებული უნდა იყოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რაც არ გამხდარა სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენისას მსჯელობის საგანი, თუ რა თქმა უნდა ასეთი გარემოებები არსებობს. ამიტომ, საჩივარში მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ ეს გარემოებები დასახელდება ზეპირი მოსმენით განხილვისას და არ არის მითითებული კონკრეტულად რა იგულისხმება მასში, არ არის საკმარისი საჩივრის დასაშვებად ცნობისთვის და არ შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ დასაშვებობის მოთხოვნებს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ კანონის მოთხოვნათა დაცვით განიხილა, გამოიკვლია და შეაფასა სასამართლო სხდომაზე მხარეთა მიერ მითითებული საკითხები და არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები, გაითვალისწინა ყველა გარემოება, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე და ზეპირი მოსმენით მათი ხელახლა შეფასების აუცილებლობა არ არსებობს. წარმოდგენილი მასალების მიხედვით, განჩინების დებულებათა მცდარობა არ დგინდება და არც რაიმე ისეთი გარემოება იკვეთება, რაც შერჩეული პატიმრობის ნაცვლად გირაოს გამოყენებას განაპირობებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4, მე-6, მე-7 ნაწილებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ბრალდებულ **ი.ე.-ს** ადვოკატის - **დ. მ.-ს** საჩივარი **ცნობილ იქნეს დაუშვებლად.**
2. განჩინების ასლები გაეგზავნოს და გადაეცეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ პირებს და ორგანოებს;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსამართლე  
გელა ბადრიაშვილი